წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი

მოქალაქის მგზამკვლევი

2023 წელი, დეკემბერი

სარჩევი

შესავალი 3

წყალტუბოს მუნიციპალიტეტი - სოციალურ-ეკონომიკური მიმოხილვა 4

საქართველოს საბიუჯეტო სისტემა 6

საქართველოს საბიუჯეტო სისტემის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები 11

საბიუჯეტო პროცესი თვითმმართველობაში 13

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი 15

ბიუჯეტის შემოსულობები 15

ნაშთის ცვლილება 16

ბიუჯეტის გადასახდელები პროგრამების და პრიორიტეტების მიხედვით 16

ინფრასტრუქტურის განვითარება 17

დასუფთავება და გარემოს დაცვა 23

განათლება 24

კულტურა, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები 25

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა 35

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები 43

შესავალი

ბიუჯეტის გზამკვლევის შემუშავება ეხმარება მოქალაქეს მარტივ, მისთვის გასაგებ ენაზე მიიღოს ინფორმაცია ამა თუ იმ მუნიციპალიტეტში წლის განმავლობაში დაგეგმილი ინფრასტრუქტურული, სოციალური, საგანმანათლებლო და სხვა სახის პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ. გზამკვლევში მოცემული ინფორმაცია წარმოადგენს თვითმმართველობის აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ დაგეგმილი ღონისძიებების მოკლე აღწერას, წარმოაჩენს მათ მიზნობრიობას, დაგეგმილ აქტივობებს სძენს მეტ ტრანსფარენტულობას და საჯაროობას.

ბიუჯეტის გზამკვლევი მოიცავს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის პირველადი ვარიანტის მოკლე აღწერას. უნდა აღინიშნოს, რომ კანონმდებლობის შესაბამისად ბიუჯეტის პროექტის წარმოდგენილი ვარიანტი მუნიციპალიტეტის მერიის მიერ საკრებულოში წარდგენილია 15 ნოემბრამდე პერიოდში, რომელიც საკრებულოს შენიშვნების გათვალისწინებით ექვემდებარება გადახედვას და არაუგვიანეს 10 დეკემბრისა საკრებულოში წარდგენას. ასევე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ბიუჯეტის პროექტის წარმოდგენილი ვარიანტი არ ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ კაპიტალურ ტრანსფერს, რომელიც წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მნიშვნელოვანი შემოსავალია და მის ფორმირებაში დიდ როლს თამაშობს.

წარმოდგენილი ინფორმაცია არ შემოიფარგლება მხოლოდ ერთი კონკრეტული წლის მონაცემებით. მასში 2024 წლის საბიუჯეტო მონაცემები შედარებულია გასული 2 წლის ანალოგიურ მაჩვენებლებს, როგორც ბიუჯეტის ხარჯვით ასევე, შემოსავლების ნაწილში. წარმოდგენილია ინფორმაცია ბოლო 10 წლის განმავლობაში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ცვლილების დინამიკის შესახებ.

ბიუჯეტის გზამკვლევში ასევე მოცემულია ინფორმაცია საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ, საბიუჯეტო სისტემის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებზე და თვითმმართველობების საბიუჯეტო პროცესზე.

გზამკვლევში მოყვანილი 2023 წლის ბიუჯეტის მაჩვენებლები ასახავს 2023 წლის 10 თვის მდგომარეობით არსებულ სურათს. წარმოდგენილი ციფრები ეფუძნება ფინანსთა სამინისტროს eTreasuary სისტემაში 2023 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით არსებულ მონაცემებს. 2023 წლის გეგმიური მაჩვენებლები შესაძლებელია რიგ შემთხვევებში არ ემთხვეოდეს საკრებულოს მიერ დატკიცებული ბიუჯეტის მონაცემებს (განსხვავების მიზეზი შესაძლებელია იყოს: სახელმწიფო ფონდებიდან გამოყოფილი თანხები, რომელთა ასახვა ჯერ არ მომხდარა ბიუჯეტში; 5%-იანი გადანაწილებით დაზუსტებული ასიგნებები; სარეზერვო ფონდიდან გადანაწილებული თანხები), მაგრამ ეს არის მიმდინარე ეტაპისთვის ის რეალური მაჩვენებლები, რომლის ფარგლებშიც მუნიციპალიტეტი ახორციელებს ხარჯების გაწევას 2023 წლის ბიუჯეტიდან.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტი - სოციალურ-ეკონომიკური მიმოხილვა

წყალტუბოს მუნიციპალიტეტი თვითმმართველი ერთეულია იმერეთის მხარეში. იგი ოფიციალურ ბალნეოლოგიურ კურორტად 1920 წლიდან იქცა, ხოლო ქალაქის სტატუსი 1953 წელს მიენიჭა. მდებარეობს იმერეთის ცენტალურ ნაწილში. მუნიციპალიტეტს აღმოსავლეთით ესაზღვრება ქალაქი ქუთაისი, დასავლეთით - სამტრედიისა და ხონის, ხოლო სამხრეთით- ბაღდათისა და ვანის მუნიციპალიტეტები.



რელიეფის განმსაზღვრელ ფიზიკურ-გეოგრაფიულ ფაქტორს წარმოადგენს ფართო ოვალური ფორმის ჩაღრმავება ქვაბურ მინერალური წყაროების გამოსვლით, რომელიც ყოველი მხრიდან შემოსაზღვრულია მთაგრეხილებით. რელიეფის ძირითადი ფორმები დაბლობ-ბორცვიანია. წყალტუბოს ტერიტორიაზე მიედინება მდინარეები: გუბისწყალი, წყალტუბო.

წყალტუბოში 43 დასახლებული პუნქტია: 1 ქალაქი, 42 სოფელი. მუნიციპალიტეტის მთავარი სატრასპორტო კვანძია ქალაქი წყალტუბო, რომელიც საავტომობილო გზებით უკავშირდება ქალაქებს: ქუთაისს, ხონს, ცაგერს, ტყიბულს. ქალაქი სარკინიგზო მაგისტრალით ქუთაისს უკავშირდება.

წყალტუბო მსოფლიო მნიშვნელობის კურორტია. იგი ძალზე ორიგინალური ჰიდროგეოლოგიური აგებულებით გამოირჩევა. აქ ზღვის ჰავა ნოტიო სუბტროპიკულია, მოკლე ზამთრით და ცხელი ზაფხულით. ჰაერის ტემპერატურის მხრივ წყალტუბო ერთ-ერთი თბილი კუთხეა საქართველოში. საშუალო წლიური ტემპერატურა - 15 გრადუსია. ყველაზე ცხელი აგვისტოს საშუალო ტემპერატურა -28-30 გრადუსია. ყველაზე ცივი თვეების იანვარ-თებერვლისა - 5 გრადუსი. საშუალო წლიური ტენიანობა 76 პროცენტია წყალტუბო საინტერესოა ტურისტებისათვის აქ არსებული კარსტული მღვიმეების ,,სათაფლიისა'' და ,,პრომეთეს'' მიწისქვეშა სილამაზით და სამკურნალო სპელეოტურიზმისათვის დამახასიათებელი ფაქტორებით.

წყალტუბოს ტერიტორიაზე მდებარეობს ფეოდალური ხანის საქართველოს საერო არქიტექტურის მნიშვნელოვანი ძეგლი გეგუთის სასახლე X-XI საუკუნე; იოანე

ნათლიმცემლის სახელობის ეკლესია სოფელ დეჩში - VIII-IX საუკუნე; ზარათის ეკლესია სოფელ ზარათში - XI საუკუნე.

წყალტუბოში მდებარეობს აკადემიკოს გიორგი ახვლედიანის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი ქალაქ წყალტუბოში, მწერალ ნიკო ლორთქიფანიძის სახლ-მუზეუმი სოფელ ჩუნეშში, გიორგო ახვლედიანის სახლ- მუზეუმი სოფელ დერჩში. დასავლეთით კვეთს რესპუბლიკის მთავარი საავტომობილო (ავტობანი) და სარკინიგზო მაგისტრალი, რკინიგზის 4 სადგურით.

სტატისტიკის სამსახურის ბოლო ინფორმაციით წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მოსახლეობა შეადგეს 51,4 ათას კაცს და მოსახლეობის სიდიდის მიხედვით საქართველოს 67 მუნიციპალიტეტს შორის მე-19 ადგილზეა.

გრაფიკი #1

საქართველოს მოსახლეობა მუნიციპალიტეტების მიხედვით (ათასი კაცი)



* გრაფიკის თავსებადობის მიზნით, მონაცემები არ მოიცავს ქ. თბილისის მაჩვენებლებს

რეგიონის ძირითადი მინერალური რესურსია წყალტუბოს ცნობილი სამკურნალო თერმული წყალი, რომელიც ფიზიკურ-ქიმიური თვისებებით უნიკალურია. მისი ძირითადი დამახასიათებელი თვისებაა რადიოაქტივობა. წყალი შეიცავს კეთილშობილ აირს, რადონის ემანაციას, აზოტის დიდ რაოდენობას და ჰელიუმს. რის გამოც მას აიროვან-აზოტიანი წყლების კლასს მიაკუთვნებენ.

საქართველოს საბიუჯეტო სისტემა

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მიხედვით საქართველოს საბიუჯეტო სისტემა არის „საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლების ფუნქციების შესასრულებლად, ფულადი სახსრების მობილიზებისა და გამოყენების მიზნით, სამართლებრივი აქტებით რეგულირებული საბიუჯეტო ურთიერთობათა ერთობლიობა“.

ტერმინი „ბიუჯეტი“ („Budget”) ინგლისური სიტყვაა და ტომარას ნიშნავს. დღევანდელი მნიშვნელობით ამ ტერმინის გამოყენება ისტორიულ წყაროებში პირველად გვხვდება ინგლისის თემთა პალატაში. როდესაც მთავრობა თემთა პალატას ფულს სთხოვდა, ხაზინის კანცლერი ხსნიდა პორტფელს (ტომარას), სადაც სახელმწიფო შემოსავალების და ხარჯების ხარჯთაღრიცხვის კანონპროექტი იყო. ამას უწოდებდნენ ბიუჯეტის გახსნას.

დღეს საქართველოში ბიუჯეტი წარმოდგენს შესაბამისი დონის ხელისუფლების ორგანოების მიერ საკუთარი უფლებებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღებ და გასაცემ ფულადი სახსრების ერთობლიობას, მათი შეგროვებისა და გადახდის გეგმას. ამ სახით პროგნოზი კეთდება მომდევნო 4 წელზე, ხოლო მმართველობის შესაბამისი ორგანობის მიერ ბიუჯეტი მტკიცდება და აღსრულებას ექვემდებარება მომდევნო 1 წლისათვის.

საქართველოს საბიუჯეტო სისტემა აერთიანებს სხვადასხვა დონის ბიუჯეტებს. დღეს მოქმედი კანონმდებლობითა და საბიუჯეტო მოწყობის მიხედვით საქართველოში არსებობს ბიუჯეტის სამი დონე: საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტები. ბიუჯეტები მტკიცდება ასევე, შესაბამისი დონის ხელისუფლებების მიერ.

საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური და ადგილობრივი ბიუჯეტების ყველა შემოსულობის და გადასახდელის აღირიცხვა-ანგარიშგება ხორციელდება სახელმწიფო ხაზინის სისტემის მეშვეობით.

გარდა ამისა არსებობს და ფინანსური ანგარიშგეგებისათვის გამოიყენება ბიუჯეტები, რომლებიც არ ექვემდებარება დამტკიცებას. ესეთი ბიუჯეტი წარმოადგენს, ზემოთ მოყვანილი, შესაბამისი დონის ხელისუფლების მიერ დამტკიცებული ბიუჯეტების კონსოლიდირებულ ვერსიებს. ესენია: საქართველოს ნაერთი ბიუჯეტი, სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტი, ცენტრალური ბიუჯეტი, ავტონომიური რესპუბლიკების ნაერთი ბიუჯეტი, ერთიანი ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტი, ავტონომიური რესპუბლიკის ერთიანი რესპუბლიკური ბიუჯეტი და ერთიანი მუნიციპალური ბიუჯეტი. მიუხედავად იმისა, რომ ჩამოთვლილი ბიუჯეტები არ მტკიცდება, მისი შედგენა მნიშვნელოვანია ქვეყნის ფინანსური, საბიუჯეტო ანგარიშგებისათვის. ბიუჯეტების ამ სახით კონსოლიდაციის გარეშე

არ იქნება სრულყოფილი თვითმართველობის, ავტონომიური რესპუბლიკებისა და მთლიანად ქვეყნის დონეზე საბიუჯეტო სისტემის ანალიზი და ანგარიშგება.

როგორც ავღნიშნეთ რიგი ბიუჯეტები არ ექვემდებარება დამტკიცებას და ეს ბიუჯეტები წარმოადგენს დამტკიცებული ბიუჯეტების კონსოლიდირებულ ვერსიებს. დამტკიცებას ექვემდებარება შემდეგი ბიუჯეტები:

- სახელმწიფო ბიუჯეტი - მტკიცდება საქართველოს პარლამენტის მიერ;
- ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი - მტკიცდება ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ;
- ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი - მტკიცდება ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს, საკრებულოს მიერ.
- სსიპ-ების და ააიპ-ების ბიუჯეტები - მტკიცდება კანონმდებობით დადგენილი წესით (რიგ შემთხვევებში ხელმძღვანელის მიერ, რიგ შემთხვევაში მაკონტროლებლის ან მაკონტროლებლის თანხმობით და ა.შ.).

ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტზე. კერძოდ იმ საკითხებზე, თუ რას წარმოადგენს თვითმმართველობის ბიუჯეტი, რა როლი უჭირავს მას ქვეყნის საბიუჯეტო სისტემაში, რა სახის კავშირი და დამოკიდებულება აქვს თვითმმართველობების ბიუჯეტებს სხვა დონის ბიუჯეტებთან.

თვითმმართველი ერთეული არის მუნიციპალიტეტი, რომელსაც აქვს საკუთარი ადმინისტრაციული საზღვრები. ხოლო, ადგილობრივი თვითმმართელობა არის შესაბამის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეთა უფლება, მათ მიერ არჩეული თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით გადაწყვიტონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები. სწორედ თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი წარმოადგენს ამ საკითხების გადაწყვეტის ძირითად და მნიშვნელოვან ინსტრუმენტს.

მუნიციპალიტეტს გააჩნია საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებები. საკუთარი უფლებამოსილება არის ის უფლებამოსილება, რომელსაც მუნიციპალიტეტი ახორციელებს დამოუკიდებლად, საკუთარი პასუხისმგებლობით. ხოლო, დელეგირებული უფლებამოსილება - სახელმწიფო ან/და ავტონომიური რესპუბლიკის უფლებამოსილება, რომელიც შესაბამისი მატერიალური და ფინანსური უზრუნველყოფით გადაეცემა ადგილობრივ თვითმმართველობას. მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებების ჩამონათვალს განსაზღვრავს საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“.

ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირების წყაროს წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსულობები და სხვა ბიუჯეტიდან მიღებული არასაკუთარი შემოსულობები. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არასაკუთარ შემოსულობებს მიეკუთვნება ბიუჯეტის მიერ მიღებული სესხი და გრანტი, აგრეთვე სპეციალური, კაპიტალური და მიზნობრივი

ტრანსფერები. ბიუჯეტის ყველა სხვა შემოსულობა წარმოადგენს თვითმმართველობის ბიუჯეტის საკუთარ შემოსულობას, რომელთა გამოყენებაც მუნიციპალიტეტს შეუძლია დამოუკიდებლად, საკუთარი გადაწყვეტილების შესაბამისად. სწორედ საკუთარი შემოსულობები და მათი დამოუკიდებლად განკარგვის შესაძლებლობა უზრუნველყოფს მუნიციპალური ბიუჯეტის დამოუკიდებლობას.

თუ ვნახავთ გასული წლების მუნიციპალიტეტების შემოსულობების ნაერთ მაჩვენებლებს გამოჩნდება, რომ მუნიციპალური ბიუჯეტის ძირითადი შემოსავლები სწორედ მისი საკუთარი შემოსულობებია. მაგალითისთვის, 2022 წლისათვის მუნიციპალიტეტების ნაერთ შემოსულობებში საკუთარი შემოსულობების ფაქტიური მაჩვენებელი 66.6% იყო (გრაფიკი #2).

გრაფიკი #2

მუნიციპალიტეტების 2022 წლის ნაერთი შემოსულობები საკუთარი და არასაკუთარი შემოსულობების მიხედვით

(თანხა მლნ ლარი)



გრაფიკ #3-ში მოცემულია საკუთარი შემოსავლების სტრუქტურა 2022 წლის ფაქტიური შემოსავლების მიხედვით. გრაფიკში მოცემული სხვა შემოსავლების მონაცემი აერთიანებს შემოსავლების საბიუჯეტო კლასიფიკაციის როგორც სხვა შემოსავლებიდან, ასევე, არაფინანსური (კაპიტალური შემოსავლები) და ფინანსური (ძირითდად ნაშთის გამოყენება) აქტივებიდან მუნიციპალურ ბიუჯეტებში მობილიზებულ თანხებს.

გრაფიკი #3

მუნიციპალიტეტების 2022 წლის ნაერთი შემოსულობების საკუთარი შემოსულობების სტრუქტურა

(თანხა მლნ ლარი)



უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს საბიუჯეტო სისტემაში 2019 წლის 1 იანვრიდან განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელმაც დიდი გავლენა იქონია მუნიციპალიტეტის შემოსავლების როგორც ფორმირებაზედ ასევე მის სტრუქტურაზე. კერძოდ:

დეცენტრალიზაციის სტრატეგიის ფარგლებში განხორცილდა ცვლილებები საბიუჯეტო კოდექსსა და ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში, რომლის მიხედვითაც შეიცვალა მუნიციპალიტეტების დაფინანსების სისტემა, კერძოდ, მუნიციპალიტეტების აღარ მიეცემათ გათანაბრებითი ტრანსფერი, ასევე საშემოსავლო გადასახადის სხვადასხვა სახეებიდან მიღებული შემოსავლები მთლიანად მიიმართება სახელმწიფო ბიუჯეტში, მათ ნაცვლად მუნიციპალიტეტების დასაფინანსებლად მიიმართება დღგ-ს სახით მიღებული შემოსავლების 19,0%.

როგორც მონაცემებიდან ჩანს მუნიციპალიტეტის შემოსულობებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს დამატებითი ღირებულების გადასახადიდან მიღებულ შემოსავლებს (52%), რომელმაც როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, გასულ წელს განხორციელებული რეფორმის შედეგად, ჩაანაცვლა გათანაბრებითი ტრანსფერი და საშემოსავლო გადასახადი. უნდა აღინიშნოს, რომ გათანაბრებით ტრანსფერთან შედარებით დღგ-მ მნიშვნელოვნად გაზარდა მუნიციპალიტეტების შემოსავლები. 2022 წელს დღგ-დან მუნიციპალიტეტის შემოსავალმა შეადგინა - 16 001,3 ათასი ლარი .

მარტივად აღსაქმელად, ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულების ბიუჯეტის შემოსავლის წყაროები ჩვენ პირობითად შეგვიძლია დავყოთ 3 ნაწილად:

საგადასახადო შემოსავლები - ჩვენს მიერ ზემოთ აღწერილი რეფორმის მიხედვით 2019 წლის 1 იანვრიდან შემოსავლის ეს წყარო მოიცავს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ქონების გადასახადის 100%-ს და დამატებითი ღირებულების გადასახადის ნაწილს, რომლიც გამოთვლაც ხდება სპეციალური ფორმულით სადაც მონაწილეობს მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სტატისტიკური მაჩვენებლები; შემოსავლის ეს წყარო მუნიციპალიტეტის საკუთარ შემოსავალებს მიეკუთვნება.

გრანტები (ტრანსფერები) - საერთაშორისო ორგანიზაციები და მთავრობების მიერ გამოყოფილ გრანტები. ასევე, სხვა დონის ბიუჯეტიდან გამოყოფილ ტრანსფერები. მათ შორის, მიზნობრივი, სპეციალური და კაპიტალური ტრანსფერები (2019 წლიდან აღარ არსებობს გათანაბრებითი ტრანსფერი). შემოსავლის ამ წყაროდან მისაღები თანხებიდან მუნიციპალიტეტის არასაკუთარ შემოსავლებს მიეკუთვნებათ.

სხვა დანარჩენი შემოსავლები - საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად ბიუჯეტის სხვა შემოსავლებს მიკუთვნებული შემოსავლები (მაგ. მოსაკრებლები, ჯარიმები, დივიდენდები, ლიცენზისები და ა.შ.), კაპიტალური შემოსავლები (შემოსავლები პრივატიზაციიდან), ფინანსური აქტივების (ნათშის გამოყენება, სესხის დაბრუნება) და ვალდებულებების (საგარეო ან საშინაო სესხის აღება) ცვლილებით მიღებული შემოსავლები. შემოსავლის ამ წყაროდან მისაღები თანხებიდან მუნიციპალიტეტის საკუთარ შემოსულობებს მიეკუთვნება საბიუჯეტო კლასიფიკაციით კლასიფიცირებული სხვა შემოსავლებიდან, კაპიტალური შემოსავლებიდან და ფინანსური აქტივების ცვლილებიდან (ძირითად შემთხვევებში) მისაღები თანხები.

შემოსავლების ზემოაღნიშნული კლასიფიცირების მიხედვით გრაფიკ #4-ზე მოცემულია 2022 წელს, ჯამურად მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში ჩარიცხული თანხები და მათი პროპორცია.

გრაფიკი #4

მუნიციპალიტეტების 2022 წლის ნაერთი შემოსავლები ძირითადი წყაროების მიხედვით
(თანხა მლნ ლარში)



საქართველოს საბიუჯეტო სისტემის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები

საქართველოში დღეს მოქმედი საბიუჯეტო სისტემა რეგულირდება სხვადასხვა საკანონმდებლო ნორმატიული აქტით. სახელმწიფო ბიუჯეტის მიღებისთან დაკავშირებული დებულებები ასევე გაწერია საქართველოს კონსტიტუციის მე-6 თავში. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობების კოდექსი“-ს მე-5 კარი მთლიანად შედგება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისა და ეკონომიკური საფუძვლების დებულებებისაგან. ასევე, ამავე ორგანული კანონის გარდამავალი დებულებები არეგულირებს მუნიციპალიტეტის ფინანსებთან დაკავშირებულ რიგ საკითხებს.

ქვეყანაში საბიუჯეტო მოწყობის ძირითად და საკვანძო საკითხები მოწესრიგებულია საქართველოს კანონით „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-თ. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი მიღებული იქნა 2009 წელს და ძალაში შევიდა 2010 წლის 1 იანვრიდან. საბიუჯეტო კოდექსმა ბევრ სხვა სიახლესთან ერთად გააერთიანა სხვადასხვა დონის ბიუჯეტების მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტები, რომლებიც მანამდე რამოდენიმე კანონით იყო დარეგულირებული. შედეგად საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის ამოქმედებისთანავე, სხვა კანონებთან ერთად, გაუქმდა „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“, „შემოსულობების ბიუჯეტებს შორის განაწილების შესახებ“ და „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონები.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი შედგება ექვსი კარისაგან. მათ შორის, პირველი, მეორე და მეექვსე კარი საერთოა ბიუჯეტებისთვის და შესაბამისად, ადგენს ნორმებს ყველა დონის ბიუჯეტისთვის. კოდექსის მე-3 კარით დარეგულირებულია სახელმწიფო ბიუჯეტთან დაკავშირებული საკითხები, მე-4 კარი ადგენს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საბიუჯეტო წესებსა და პროცედურებს, ხოლო მე-5 კარში მოცემულია ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტთან დაკავშირებული საკითხები.

გარდა აღნიშნული საკანონმდებლო აქტებისა ქვეყნის საბიუჯეტო სისტემის შემადგენელი საკანონმდებლო აქტებია „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, „სახელმწიფო აუდიტის შესახებ“, „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“, „ბურალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“, „ყოველწლიური სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონები და სხვა.

ქვეყანაში საბიუჯეტო სისტემას, გარდა ზემოაღნიშნული საკანონმდებლო აქტებისა, ასევე არეგულირებს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, ამ აქტებით დამტკიცებული მეთოდოლოგიები. ასევე, საბიუჯეტო პროცესის მიმდინარეობისას ყოველწლიურად გამოიცემა კანონქვემდებარე ინდივიდუალური აქტები, რომლებიც გამომდინარეობს შესაბამისი ნორმატიული აქტებიდან.

საბიუჯეტო სისტემის მარეგულირებელი კანონქვემდებარე აქტებიდან უნდა გამოიყოს საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებები „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ და „პროგრამული ბიუჯეტი შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“. ეს ორი ბრძანება არეგულირებს როგორც სახელმწიფო დონეზე საბიუჯეტო მოწყობის საკითხებს, ასევე, ავტონომიური და ადგილობრივი ბიუჯეტების შედგენისა და აღსრულების წესებსა და პროცედურებს.

„საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით კლასიფიცირდება ბიუჯეტში მისაღები და ბიუჯეტიდან გასაცემი ფულადი ნაკადები. დამტკიცებული კლასიფიკაცია ეფუძნება და შესაბამისია საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ დაწესებულ საერთაშორისო სტანდარტებთან. იგი ერთიანია საქართველოს ყველა დონის ბიუჯეტისათვის. კლასიფიკაციით განსაზღვრულია თუ როგორი ფორმა უნდა ჰქონდეს ბიუჯეტის ბალანსს, მოცემულია დეტალური მეთოდური მითითებები ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების სწორი აღრიცხვა-ანგარიშგებისთვის.

ბიუჯეტის პროგრამული ფორმატით შემუშავება ადგილობრივი თვითმმართველობებისათვის სავალდებულო გახდა 2013 წლიდან. სწორედ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება „პროგრამული ბიუჯეტი შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ ადგენს იმ წესებსა და ფორმას, თუ რა პერიოდში და რა სტრუქტურით უნდა განხორციელდეს წლიური ბიუჯეტის პროექტის მომზადება, დამტკიცება, აღსრულება და ანგარიშგება. მეთოდოლოგია ადგენს როგორც ზოგად

დებულებებს, რომლებიც საერთოა ყველა დონის ბიუჯეტისათვის, ასევე ცალ-ცალკე, თითოეული დონის ბიუჯეტისათვის, განსაზღვრავს ბიუჯეტის და მისი პროგრამების შედგენის დეტალურ ფორმატებს.

2018 წელს განახლდა მეთოდოლოგიის ის ნაწილი, რომელიც არეგულირებს ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების საბიუჯეტო საკითხებს. ჩვენს შემთხვევაში საგულისხმოა სიახლეები რომლებიც დაადგინა განახლებულმა მეთოდოლოგიამ და რომლებიც მუნიციპალიტეტებისათვის სავალდებულო გახდება 2020 წლის ბიუჯეტის მომზადების პროცესიდან. ესენია:

- მეტი აქცენტი კეთდება პრიორიტეტების დოკუმენტის სწორ შემუშავებაზე
- აუცილებელი ხდება მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი სამუშაო გეგმის შემუშავება
- დეტალურად გაიწერა ბიუჯეტის ფორმატი და სტრუქტურა
- დაზუსტდა ბიუჯეტის თანმდევი დოკუმენტები და მათი შედგენის ფორმატი - პროგრამული და კაპიტალური ბიუჯეტები, ააიპ-ების ბიუჯეტები
- დაკონკრეტდა და უფრო მკაფიოდ გაიწერა ბიუჯეტის პროექტის მომზადების ფაზები და კალენდარი
- განისაზღვრა პროგრამების/ქვეპროგრამების/ღონისძიებების შედგენის ფორმები
- ცალკე გამოიყო და დადგინდა მართვისა და რეგულირების ტიპის პროგრამების გაანგარიშების მეთოდიკა
- განისაზღვრა ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის ფორმების სტრუქტურა

საბიუჯეტო პროცესი თვითმმართველობაში

თვითმმართველობების ბიუჯეტის პროექტის მომზადების, საკანონმდებლო ორგანოსათვის წარდგენის და დამტკიცების პროცედურები რეგულირდება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის XII თავით. ბიუჯეტის პროექტის მომზადების პროცესს კოორდინაციას უწევს მუნიციპალიტეტის საფინანსო ორგანო, რომელიც ამ პროცესში ხელმძღვანელობს მოქმედი კანონმდებლობითა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოცემული შესაბამისი მეთოდური მითითებებით. მუნიციპალური ბიუჯეტის მომზადების, შედგენის, დამტკიცებისა და ანგარიშგების პროცესის მოკლე აღწერა მოცემულია გრაფიკ #5-ზე.

გრაფიკი #5

არაუგვიანეს 1 მარტისა - იწყება მუშაობა მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადებაზე/გადამუშავებაზე
არაუგვიანეს 15 ივლისისა - საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ყველა მუნიციპალიტეტს აცნობებს დასაგეგმი საბიუჯეტო წლის ძირითადი საბიუჯეტო პარამეტრებს
არაუგვიანეს 5 ოქტომბრისა - საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს აცნობებს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით შესაბამისი ბიუჯეტისათვის გადასაცემი ფინანსური დახმარებისა და გადასახადებიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს
არაუგვიანეს 15 ნოემბრისა - თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანო ამზადებს პრიორიტეტების დოკუმენტის და ბიუჯეტის პროექტის პირველად ვარიანტს და განსახილველად შეაქვე საკრებულოში
პრიორიტეტების დოკუმენტის და ბიუჯეტის საკრებულოში წარდგენიდან არაუგვიანეს 5 დღისა საკრებულო პრიორიტეტების დოკუმენტს და ბიუჯეტის პროექტს აქვეყნებს საჯარო განხილვებისათვის.
არაუგვიანეს 25 ნოემბრისა - შენიშვნების არსებობის შემთხვევაში საკრებულო ბიუჯეტს გადამუშავებისათვის უბრუნებს აღმასრულებელ ხელისუფლებას
არაუგვიანეს 10 დეკემბრისა - აღმასრლებელი ხელისუფლების მიერ ბიუჯეტის პროექტისა და პრიორიტეტების დოკუმენტის იმავე ან შესწორებული ვარიანტი საკრებულოს დასამტკიცებლად უბრუნდება არაუგვიანეს
არაუგვიანეს 31 დეკემბრისა საკრებულო, ბიუჯეტის პროექტის დადგენილი წესით განხილვების შემდგომ, ამტკიცებს დასაგეგმი წლის ბიუჯეტს
ბიუჯეტის დამტკიცებიდან 15 დღეში მტკიცდება ბიუჯეტის ყოველთვიური/ყოველკვარტალური განწერა
თვითმმართველობის აღმასრულებელი ხელისუფლება ყოველი თვის დასრულებიდან 10 დღეში ამზადებს ბიუჯეტის შესრულების ყოველთვიურ ანგარიშს. ხოლო, ყოველი კვარტლის დასრულებიდან ერთ თვეში და წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 2 თვისა ამზადებს ბიუჯეტის კვარტალური და წლიური შესრულების ანგარიშებს, რომლებიც წარედგინება საკრებულოს
არაუგვიანეს 1 მაისისა ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში საჯაროდ განიხილება საკრებულოში, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას მისი დამტკიცების ან დაუმტკიცებლობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი

ბიუჯეტის შემოსულობები

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლების სტრუქტურამ მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა 2019 წელს. აღნიშნული უკავშირდებოდა 2019 წლის 1 იანვრიდან საბიუჯეტო კოდექსში ამოქმედებულ ცვლილებას, რომლიც მიხედვითაც, ერთის მხრივ, გაუქმდა გათანაბრებითი ტრანსფერი, ასევე, საშემოსავლო გადასახადის ის სახეები რომლებიც გასულ წლებში ირიცხებოდა ადგილობრივ ბიუჯეტებში აღარ ირიცხება მუნიციპალურ ბიუჯეტებში. ხოლო მეორეს, მხრივ ამოქმედდა გადასახადების განაწილების პრინციპი (ე.წ. Tax share), რომლიც მიხედვითაც ადგილობრივ ბიუჯეტებში ჩაირიცხება დამატებითი ღირებულების გადასახადიდან მობილიზებული თანხის 19%. ამ თანხის განაწილება მუნიციპალიტეტების მიხედვით ხორციელდება ასევე საბიუჯეტო კოდექსით დადგენილი წესით.

საგადასახადო შემოსავლების ამ რეფორმის მიხედვით წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტმა დამატებითი ღირებულების გადასახადიდან უნდა მიიღოს 23 223,1 მლნ ლარი, რაც ქონების გადასახადთან ერთად ჯამში 26 023,1 მლნ ლარს შეადგინს. შესაბამისად, საგადასახადო შემოსავლების წილმა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის მთლიან შემოსავლების 88,5 % შეადგინა.

ვინაიდან 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი ამ ეტაპისათვის არ ითვალისწინებს წლის განმავლობაში მისაღები ტრანსფერების მნიშვნელოვან ნაწილს, გრაფიკ #6-ზე ასახულია მიზნობრივი ტრანსფერის ოდენობა.

გრაფიკი #6



სხვა შემოსავლები და კაპიტალური შემოსავლების წყალტუბოს 2024 წლის ბიუჯეტის მთლიან შემოსავლებში წარმოდგენილია სხვა შემოსავლები - 3007,9 ათასი ლარი არაფინანსური აქტივების კლება - 100.0 ათასი ლარი. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის სხვა შემოსავლების სტრუქტურა მოცემულია გრაფიკ #7-ზე:

გრაფიკი #7



ნაშთის ცვლილება

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის არსებული რედაქცია გადასახდელების დაფინანსებისათვის ნაშთის გამოყენებას არ ითვალისწინებს.

ბიუჯეტის გადასახდელები პროგრამების და პრიორიტეტების მიხედვით

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის გადასახდელები (10 დეკემბრის მდგომარეობით) განსაზღვრულია 29 400,0 ათასი ლარით.

2024 წლის ბიუჯეტის პროექტში პრიორიტეტების მიხედვით ასიგნებები გადანაწილებულია შემდეგნაირად:

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტები	**გეგმა ათას ლარებში**
ინფრასტრუქტურის განვითარება	6397,3
დასუფთავება და გარემოს დაცვა	2849,5
განათლება	5373,7
კულტურა, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	4823,0

ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	3168,1
წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	6788,1
სულ ასიგნებები	**29 400,0**

გრაფიკი #8



ინფორმაცია ყველა ზემოაღნიშნულ პრიორიტეტზე და მასში შემავალი პროგრამების და ქვეპროგრამების შესახებ წარმოდგენილია შემდგომ თავებში.

ინფრასტრუქტურის განვითარება

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ასიგნებების 21,8% გამოყოფილია ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებაზე, რაც ნომინალურ გამოხატულებაში 6397,3 ათას ლარს შეადგენს. აღნიშნული თანხები მთლიანად წარმოადგენს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარ შემოსულობებს. კიდევ ერთხელ ავღნიშნავთ, რომ 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის წარმოდგენილი ვარიანტი არ ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ინფრასტრუქტუტული პროექტებისათვის გამოსაყოფ კაპიტალურ ტრანსფერს.

2024 წლის ბიუჯეტის პროექტით პრიორიტეტის ფარგლებში ფინანსდება შემდეგი პროგრამები:

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	2024 წლის ბიუჯეტის პროგნოზი		
		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	1,743.3	0.0	1,743.3
02 02	წყლის სისტემების განვითარება	1,031.5	0.0	1,031.5
02 03	გარე განათება	950.0	0.0	950.0
02 04	ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაცია	150.0	0.0	150.0
02 05	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება	400.0	0.0	400.0
02 06	კეთილმოწყობის ღონისძიებები	1,772.8	0.0	1,772.8
02 07	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	0.0	0.0	0.0
02 08	საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა	100.0	0.0	100.0
02 09	სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და ექსპერტიზა	100.0	0.0	100.0
02 10	მოქალაქეთა ჩართულობა	100.0	0.0	100.0
02 11	ოჯახების სოციალურ - ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერა	50.0	0.0	50.0

<u>გრაფიკი #9</u>



<u>საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების</u> პროგრამა - საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის ფარგლებში განხორციელდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტში არსებული საავტომობილო გზების რეაბილიტირება, რეაბილიტირებული გზების მდგომარეობის შენარჩუნება, მდინარეებზე ხიდ-ბოგირების მოწყობა, რეაბილიტაცია. ასევე

საჭიროების შემთხვევაში გზის თოვლის საფარისგან გაწმენდა, ორმოული შეკეთება და სტიქიისა შედეგად მიყენებული ზიანის აღმოფხვრა. პროგრამა შედგება შემდეგი 2 ქვეპროგრამისგან:

- ✓ საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება
- ✓ გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთება
- ✓ გზებისა და ტროტუარების მიმდინარე შეკეთება

<u>საგზაო ნიშნების და უსაფრთხოების ქვეპროგრამა -</u> პროგრამის ფარგლებში ხორციელდება და ფინანსდება შემდეგი ღონისძიბები:
სატრანსპორტო საშუალებების სახელმწიფო ნომრის ამომცნობი და ზოგადი ხედვის კამერების მოვლა-შენახვა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული ვიდეო სამეთვალყურეო კამერის შსს 112-ის ერთიან ქსელთან დაერთების და ყოველთვიური მომსახურება.

<u>გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთების</u> ქვეპროგრამა- ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია წყალტუბოს მუნიციპალიტეტში არსებული დაზიანებული და ამორტიზირებული გზების კაპიტალური შეკეთება/რეაბილიტაცია და ახალი გზის მოწყობა ასფალტო ბეტონის ან/და ბეტონის საფარით, კერძოდ: წყალტუბოში სოფ. გუმბრაში გზის რეაბილიტაცია.

- წყალტუბოში სოფ. ბანოჯაში გზის რეაბილიტაცია.
- წყალტუბოში სოფ. ქვიტირში გზის რეაბილიტაცია.
- წყალტუბოში სოფ. მუხიანში გზის რეაბილიტაცია.
- წყალტუბოში სოფ. გეგუთში გზის რეაბილიტაცია.

გარდა აღნიშნული პროექტებისა, 2024 წლის განმავლობაში არსებული ფინანსური რესურსების ფარგლებში, გზების კაპიტალური შეკეთება შესაძლებელია განხორციელდეს მუნიციპალიტეტის სხვა გზებზეც. ლოკაციების შერჩევა განხორციელდება მოსახლეობის მომართვიანობისა და წლის განმავლობაში წარმოქმინილი გადაუდებებლი აუცილებლობის გათვალისწინებით.

<u>გზებისა და ტროტუარების მიმდინარე შეკეთების ქვეპროგრამა -</u> მუნიციპალიტეტის მასშტაბით გზების გარკვეული ნაწილი საჭიროებს მიმდინარე ორმოულ შეკეთებას, რათა გახანგრძლივდეს მათი ექსპლოატაციისა და გამოყენების ვადები. აქედან გმომდინარე, მნიშვნელოვანია გზების მიმდინარე შეკეთება. აღნიშნული ქვეპროგრამით განხორციელდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეაბლიტირებული გზების მოვლა, რაც გულისხმობს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში შიდა გზების თოვლის საფარისაგან გაწმენდას, სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის აღმოფხვრასა და ორმოულ შეკეთებას.

<u>წყლის სისტემების განვითარება -</u> პროგრამა ითვალისწინებს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემების როგორც სრულ ასევე ნაწილობრივ რეაბილიტაციას და ახლის მოწყობას. მათ შორის პრიორიტეტულია მოსახლეობის 24 საათიანი სასმელი წყლის უზრუნველყოფა წლის ნებისმიერ პერიოდში. წყლის სისტემების ექსპლოატაცია მიმდინარეობს უწყვეტ რეჟიმში რათა წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილი იქნას დროულად. პროგრამა ასევე მოიცავს სანიაღვრე სისტემების ექსპლოატაცია / რეაბილიტაციასა და შადრევნების წყლის ხარჯის დაფინანსებას.

წყლის სისტემის განვითარების პროგრამა შინაარსის მიხედვით არის როგორც კაპიტალური / ინფრასტრუქტურული (წყლის სისტემების რეაბილიტაცია, ახლის მოწყობა) ასევე მომსახურების (წყლის სისტემის ექსპლოატაცია). რაც შეეხება მის ხანგრძლივობას იგი ინფრასტრუქტურულ ნაწილში წარმოადგენს მრავალწლიან, ხოლო მომსახურების ნაწილში მუდმივმოქმედ პროგრამას.

გარდა ამისა, ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით და წლის განმავლობაში ჩატარებული ტენდერებით წარმოქმნილი ეკონომიებით შესაძლებელია განხორციელდეს სხვა პროექტებიც. პროექტების შერჩევა განხორციელდებამ მოსახლეობის მომართვიანობისა და წლის განმავლობაში წარმოქმინილი გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით. პროგრამის მიზანია:

- ✓ მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში არსებობედეს სასმელი წყლის 24 საათიანი მიწოდება;
- ✓ მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს გააჩნდეს შეუფერხებლი წვდომა და იღებდეს სასმელ წყალს;
- ✓ წყლის სისტემების ექსპლოატაცია მიმდინარეობდეს უწყვეტ რეჟიმში და წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოიფხვრას დროულად.

<u>გარე განათების პროგრამა</u> - ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილებისათვის და კომფორტული გარემოს შექმნისათვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარე განათების ფუნქციონირებას. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში წარმოდგენილი გარე განათების პროგრამის ფარგლებში სწორედ გარე განათების სისტემის განვითარებისა და ექსპლოატაციისათვის საჭირო ხარჯები ფინანსდება. პროგრამის ასიგნებების მნიშვნელოვანი ნაწილი ხმარდება მოხმარებული ელექტროენერგიის ანაზღაურებას. პროგრამა შედგება 2 ქვეპროგრამისაგან. ესენია:

- ✓ გარე განათების ქსელის ექსპლოტაცია;
- ✓ გარე განათების ახალი წერტილების მოწყობა - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბანოჯაში სათაფლიის გზაზე არსებული გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია; წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ფარცხანაყანევში ქსელის რეაბილიტაცია და სოფ. მეორე უბნისა და ჩუნეშის

დამაკავშირებელ გზაზე გარე განათების მოწყობა. გარდა ამისა, ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით შესაძლებელია განხორციელდეს სხვა პროექტებიც. პროექტების შერჩევა განხორციელდება მოსახლეობის მომართვიანობისა და წლის განმავლობაში წარმოქმინილი გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით.

ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაცია - პროგრამის ფარგლებში მოხდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ნამოხვანში ბიბლიოთეკის ყოფილი შენობის რეაბილიტაცია, სოფელ გუმბრაში (გუმბრინის დასახლება) გოჩა წულაიას სახელობის სკოლის რეაბილიტაცია, ქალაქ წყალტუბოში კოლხეთის ქუჩა #2-ში მდებარე შენობის ფასადისა და სახურავის რეაბილიტაცია, სოფელ გეგუთში ვარციხეჰესის სასახლეგაში საჯარო სკოლის შენობაში პირველ და მეორე სართულებზე არსებული 500 კვ. ფართის რეაბილიტაცია, სადაც მოეწყობა საბავშვო ბაღი. რეაბილიტაცია ჩაუტარდება სოფ. გვიშტიბისა და სოფ. საყულიას ამბულატორიებს.

გარდა ამისა, ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით შესაძლებელია განხორციელდეს სხვა პროექტებიც. პროექტების შერჩევა განხორციელდება მოსახლეობის მომართვიანობისა და წლის განმავლობაში წარმოქმინილი გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება - პროგრამის ფარგლებში განხორციელდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტში არსებული ამხანაგობების თანადაფინანსება საცხოვრებელი კორპუსებისა და უბნების კეთილმოწყობისათვის, კერძოდ: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების და ფასადების რეკონსტრუქცია, რეაბილიტაცია, ეზოების კეთილმოწყობა, საძირკვლების, სადარბაზოების შიდა რემონტი, გამნათებისა და ლიფტების რეაბილიტაცია და პანდუსების მოწყობა, დაზიანებული წყალ-კანალიზაციების კომუნიკაციების აღდგენა, პარკეტებისა და წყალსაწრეტი მილების რეაბილიტაცია.

მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები - პროგრამა შედგება 2 ქვეპროგრამისაგან. ესენია:

- ✓ საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია;
- ✓ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები, გამწვანება - განაშენიანება.

საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია - ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქ წყალტუბოში კოლხეთის ქუჩაზე და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლებში გეგუთში, ქვიტირში, ფარცხანაყანევში, ოფშკვითსა და გუმბრაში ბავშვთა გასართობი ატრაქციონების მოწყობა.

გარდა ამისა, ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით შესაძლებელია განხორციელდეს სხვა პროექტებიც. პროექტების შერჩევა განხორციელდება მოსახლეობის მომართვიანობისა და წლის განმავლობაში წარმოქმინილი გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით.

<u>წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები, გამწვანება - განაშენიანება</u> - ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება შემდეგი ღონისძიებები: გარე განათების, დეკორატიული განათების სრულფასოვანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა; სანიაღვრე არხების გაწმენდას, მოვლა-პატრონობას, ცივი ტბისა და ცივი ტბისგან გამომდინარე არხების მოვლა - პატრონობას; წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წვრილფეხა ან / და მსხვილფეხა პირუტყვის მეთვალყურეობის ქვეშ ან მეთვალყურეობის გარეშე ყოფნის აღკვეთა; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული შუქნიშნებისა და ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის მოვლა-პატრონობა; ქალაქისა და მუნიციპალიტეტის განსაზღვრული ტერიტორიების გამწვანებაზე ზრუნვა, სკვერებისა და ხე-ნარგავების მოვლა-პატრონობა; ქუჩების სეზონური მორწყვა; შენობების ფასადების რეაბილიტაცია.

<u>საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედენა</u> - პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის დროულად და კვალიფიციურად მოხდეს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა. რისთვისაც პროგრამის ფარგლებში მოხდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა.

<u>სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და ექსპერტიზა</u> - პროგრამის ფარგლებში ფინანსდება 50,0 ათ. ლარზე მეტი თანხის ინფრასტრუქტურლი პროექტების ტექნიკური ზედამხედველობის (საექსპერტო მომსახურების) სამუშაოების შესყიდვა. პროგრამის მიზანია პროექტების განხორციელებისას ჩატარებული სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფა მათზე მუდმივი ზედამხედველობის განხორციელების გზით.

<u>მოქალაქეთა ჩართულობა</u> - ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება მოქალაქეთა სხვადასხვა საპროექტო ინიციატივები. ქვეპროგრამის მიზანია საბიუჯეტო პროცესში ხელისუფლებისა და საზოგადოების ურთიერთქმედების ეფექტური სისტემის შექმნა და დანერგვა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

<u>ოჯახების სოციალურ - ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერა</u> - პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ოჯახების სოციალურ - ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობა. პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული ბიზნეს იდეების კონკურსში მონაწლეობას იღებს წყალტუბოს ტერიტორიაზე რეგისტრირებული: 18 წელს მიღწეული საქართველოს მოქალაქე, ფიზიკური პირი, რომელსაც პროექტის

გამარჯვების შემთხვევაში წარმოეშობა ინდივიდუალურ მეწარმედ ან იურიდიულ პირად დარეგისტრირების ვალდებულება; ინდივიდუალური მეწარმე; მეწარმე იურიდული პირი. ბიზნეს იდეის წარდგენა ასევე შეუძლია ფიზიკურ პირს, ინდივიდუალურ მეწარმეს ან/და მეწარმე იურიდიულ პირს, რომელიც არ არის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული, თუმცა, დაფინანსების შემთხვევაში, მის მიერ წარმოდგენილი საპროექტო განაცხადი სრულად განხორციელდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.
პროგრამის ბენეფიციარად (შემდგომში - ბენეფიციარი) ჩაითვლება ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც გადალახავს პროგრამის ბიზნეს იდეების გადარჩევის ეტაპს ან/და გამარჯვებული პროექტის ავტორია.

დასუფთავება და გარემოს დაცვა

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის ასიგნებების 9,7% გამოყოფილია დასუფთავების და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებაზე, რაც ნომინალურ გამოხატულებაში 2849,5 ათას ლარს შეადგენს. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დასუფთავების და გარემოს დაცვის პრიორიტეტიდან ფინანსდება შემდეგი პროგრამები:

პროგრამული კოდი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	2024 წლის ბიუჯეტის პროგნოზი		
		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	2,849.5	0.0	2,849.5
03 02	უპატრონო ცხოველების ოპერირება	60.0	0.0	60.0
03 03	დასუფთავება, ნარჩენების გატანა და ცენტრალური პარკის ზედამხედველობა	2,038.4	0.0	2,038.4
03 05	ნაგავშემკრები კონტეინერი და ნაგავმზიდი მანქანები	751.1	0.0	751.1

<u>უპატრონო ცხოველების ოპერირება</u> - პროგრამის ფარგლებში მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის მიზნით ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მაწანწალა ძაღლების ოპერირება. უმეთვალყურეო, უპატრონო შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობა და პოპულაციის რეგულირება. პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დაცვა უპატრონო ცხოველებისგან.

<u>დასუფთავება, ნარჩენების გატანა და ცენტრალური პარკის ზედამხედველობა</u> - მთელი წლის მანძილზე შეუფერხებლად განხორციელდება მუნიციპალიტეტის დასუფთავება და ქალაქიდან ნარჩენების გატანა. წყალტუბოს მუნიციპალიტეტში

დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მიზნით ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავება ახორციელებს ქალაქისა და მუნიციპალტეტში შემავალი ადმინისტრაციული ერთეულებიდან ნაგვის ნარჩენების მოგროვებას და გატანას, რომელსაც ემსახურება 7 ერთეული ნაგვის გამტანი ავტომობილი. შეგროვებული ნარჩენები გადის გეგუთის ნაგავსაყრელზე. მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ყოველდღიურად გადის 25 მ. კუბი ნარჩენი. პროგრამის ფარგლებში ასევე ხორციელდება მუნიციპალიტეტის განსაზღვრული ტერიტორიის დაგვა და სანიტარული დასუფთავება.

<u>ნაგავშემკრები კონტეინერი და ნაგავმზიდი მანქანები</u> - წყალტუბოს მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მხრივ პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ნაგავშემკრბი კონტეინერების შეძენა.

<u>განათლება</u>

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი განთლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის ითვალისწინებს 5373,7 ათასი ლარს. განათლების პრიორიტეტის ფარგლებში 2023 წელს ბიუჯეტიდან გათვალისწინებულია შემდეგი პროგრამების დაფინანსება:

პროგრამული კოდი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	2024 წლის ბიუჯეტის პროგნოზი		
		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
04 00	განათლება	5,373.7	0.0	5,373.7
04 01	საბავშვო ბაღების გაერთიანება	5,373.7	0.0	5,373.7

<u>საბავშვო ბაღების გაერთიანება</u> - საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება.

საბავშვო ბაღების გაერთიანება და მასში შემავალი ფილიალები წარმოადგენს სასწავლო – სააღმზრდელო დაწესებულებებს, რომლებიც ხელმძღვანელობს საქართველოს კანონით, რომელთა მთავარი დანიშნულებაა საფუძველი ჩაუყაროს

ბავშვის ფიზიკურ, გონებრივ, ზნეობრივ და ესთეტიკურ განვითარებას. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 24 საბავშო ბაღი. სულ აღსაზრდელთა რაოდენობა განისაზღვრება 1500 აღსაზრდელით. სულ საბავშვო ბაღებში დასაქმებულია 405 თანამშრომელი (ქალი - 345, კაცი - 60), მათ შორის 122 აღმზრდელი და 61 თანაშემწე. ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად იგეგმება: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელება, სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო პროგრამა/მეთოდოლოგის დახვეწა, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურის (ეზო, შენობა, ინვენტარი და სხვა) განვითარება.

კულტურა, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები

პრიორიტეტის დაფინანსებისათვის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებს 4823,0 ათასი ლარის გამოყოფას, რაც ბიუჯეტის მთლიანი ასიგნებების 16,4%-ია. პრიორიტეტის ფარგლებში 2024 წლის ბიუჯეტის პროექტიდან გათვალისწინებულია შემდეგი 3 ძირითადი პროგრამის დაფინანსება:

პროგრამული კოდი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	2024 წლის ბიუჯეტის პროგნოზი		
		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი	4,823.0	0.0	4,823.0
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	2,171.9	0.0	2,171.9
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	2,631.1	0.0	2,631.1
05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	20.0	0.0	20.0

პრიორიტეტზე გამოყოფილი ასიგნებების დიდი ნაწილი მოდის კულტურის და სპორტის განვითარების ხელშეწყობის პროგრამებზე. ამ პროგრამების ჯამური დაფინანსება მთლიანი პრიორიტეტის 99,6%-ია (4803,0 ათასი ლარი).

* გრაფიკი #10*



სპორტის განვითარების ხელშეწყობა - პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება და სპორტული ობიექტების დაფინანსება. ასევე მოხდება სპორტული მოედნების მოწყობა - რეაბილიტაცია. პროგრამის ფარგლებში სპორტსმენების ხელშეწყობისა და შესაბამისი პირობების შექმნის მიზნით განხორციელდება სპორტის სხვადასხვა სახეობების ხელშეწყობა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება, სპორტული ინვენტარის შეძენა და თანამედროვე სტანდარტებთან მიახლოება, სპორტსმენთა კვებით უზრუნველყოფა, შეკრებებისა და მივლინებების განხორციელება, პერსპექტიული სპორტსმენების მომზადების წლიური საწვრთნელი პროცესის ორგანიზება და ნაკრები გუნდებისათვის მომზადება, სხვადასხვა შეჯიბრებებისა და სახელობითი ტურნირების ჩატარება. ასევე, წარმატებული წყალტუბოელი სპორტსმენების წახალისება. მოსახლეობაში და განსაკუთრებით მოზარდ თაობაში ფიზიკური აქტივობისა და განათლების ხელშეწყობა, ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების დამკვიდრება, მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტის პოპულარიზაცია. პროგრამის მიზანია მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა, პოპულარიზაცია და მოზარდების, მ.შ. როგორც გოგონების, ასევე ბიჭების ჩართვა მასობრივი სპორტის სახეობებში; სპორტზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და სპორტული მიღწევების გაუმჯობესების ხელშეწყობა.

სპორტის განვითარების პროგრამის ფარგლებში ფინანსდება შემდეგი ქვეპროგრამები:

სპორტის განვითარების ხელშეწყობა	**ათას ლარში**
სპორტული ღონისძიებები	277,8
წყალტუბო არენა	308,8
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანება	1435,3
სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	150,0
სულ	**2171,9**

<u>სპორტული ღონისძიებები</u> - ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარებას, საერთაშორისო ხასიათის სპორტული ტურნირების ჩატარებას, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციას. ასევე, მოხდება წარმატებული სპორტსმენების წახალისება, ვეტერანი და დამსახურებული სპორტსმენების საიუბილეო თარიღების აღნიშვნა.

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება: სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება, როგორიცაა წარმატებული სპორტსმენების და მწვრთნელების ფულადი დახმარება და დაჯილდოვება; სხვადასხვა ღონისძიებებზე ტრანსპორტირება; სპორტსმენების სხვადასხვა სპორტულ ტურნირებში მონაწილეობა; შშმ სპორტსმენებისათვის ტურნირებზე მივლინება; სპორტული ღონისძიებებისათვის თასებისა და მედლების შესყიდვა; სპორტული ღონისძიებებისათვის დიპლომების ბეჭდის მომსახურება; სასკოლო სპორტული ოლიმპიადისათვის ფორმების შესყიდვა; სამოყვარულო ფეხბურთის ლიგა; ქალთა საერთაშორისო დღისდადმი მიძღვნილი ფრენბურთის ტურნირი; სპორტული ღონისძიებისთვის სპორტული ინვენტარის შესყიდვა; სპორტული აქტივობები ანიმატორების მონაწილეობით; ვახტანგ კობახიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ფრენბურთის ტურნირი; გურამ ქურასბედიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი ჭიდაობის ტურნირი; ჭადრაკის ფესტივალი; შალვა , ბზიკაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ძიუდოში (საერთაშორისო); მკლავჭიდი; სულიკო ნიქაბაძის და ნოდარ კოხრეიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი მინი ფეხბურთში; ფრენბურთის ტურნირი კერძო და საჯარო დაწესებულებებს შორის (გოგონები, ვაჟები); მაგიდის ჩოგბურთის ტურნირი საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის; კედირ ჯიმშელეიშვილის და დავით აფხაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ბ/რმ ჭიდაობაში; სპორტის სხვადასხვა სახეობაში მოღვაწე

წყალტუბოელების გახსენების სარამო;ზურაბ ბადირეიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი კალათბურთში კერძო და საჯარო სკოლებს შორის; როინ მეტრეველის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ხელბურთში (საერთაშორისო); ზაურ ტეხოვის ხსოვნისადმი მიძღვნილი მინი ფეხბურთის ტურნირი კერძო და საჯარო სკოლებს შორის, სპორტულ ღონისძიებაში მონაწილეთათვის წყლის შესყიდვა. ასევე მოხდება ავტობუსის შეძენა.

<u>წყალტუბო არენა</u> - ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება წყალტუბოს საფეხბურთო სტადიონის ფუნქციონირების ხარჯების დაფინანსება. მუნიციპალური საფეხბურთო სტადიონი შეუფერხებლად მასპინძლობს წლის განმავლობაში გამართულ ყველა სპორტულ ღონისძიებას. სულ წყალტუბო არენაში დასაქმებულია 17 თანამშრომელი (ქალი - 4, კაცი - 13).

<u>წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანება</u> - ქვეპროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; მეტი მოზარდი ჩართოს სპორტში, რათა სპორტმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ჯანმრთელი თაობის ჩამოყალიბებაში. ამ მიზნით ქვეპროგრამა აერთიანებს 14 სპორტულ მიმართულებას: რაგბი (118 სპორტსმენი), ხელბურთი (77 სპორტსმენი), ფრენბურთი (64 სპორტსმენი), კალათბურთი (49 სპორტსმენი), ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (45 სპორტსმენი), ქართული ჭიდაობა (35 სპორტსმენი), ძიუდო (101 სპორტსმენი), ძალოსნობა (39 სპორტსმენი), მძლეოსნობა (11 სპორტსმენი), მკლავჭიდი (19 სპორტსმენი), კრივი (15 სპორტსმენი), ჭადრაკი (19 სპორტსმენი), მაგიდის ჩოგბურთი (21 სპორტსმენი), ტანვარჯიში (20 სპორტსმენი). სულ სპორტის სახეობებს ეუფლება 633 სპორტსმენი. სპორტული კლუბების გაერთიანებაში დასაქმებულია ჯამში 53 ადამიანი, მათ შორის ტექნიკური და ადმინისტრაციული პერსონალი 24 და 29 მწვრთნელი, მათ შორის ქალი - 14, კაცი- 39. გაერთიანების სპორტსმენები მონაწილეობენ საქართველოს, საერთაშორისო, ევროპისა და მსოფლიო მასშტაბით გამართულ ტურნირებსა და პირველობებში.

<u>სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა</u> - ღონისძიების ფარგლებში ხორციელდება სპორტული მოედნების რეაბილიტაცია - მოწყობა, კერძოდ ქალაქ წყალტუბოში ნინოშვილის ქუჩაზე და ქალაქ წყალტუბოში კეცხოველის ქუჩაზე. ასევე განხორციელდება ქალაქ წყალტუბოში ცენტრალური სტადიონის ტერიტორიაზე არსებული შენობის (გასახდელი) შიდა სამშენებლო სარემონტო სამუსაოები.

გარდა ამისა, ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით და წლის განმავლობაში ჩატარებული ტენდერებით წარმოქმნილი ეკონომიებით

შესაძლებელია განხორციელდეს სხვა პროექტებიც. პროექტების შერჩევა განხორციელდება მოსახლეობის მომართვიანობისა და წლის განმავლობაში წარმოქმინილი გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით.
სპორტული ობიექტები გულისხმობს სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა და სპორტული მოედნების მშენებლობა, რეკონსტრუქცია;
ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მოსახლეობის მასობრივად ჩართვა სპორტულ ცხოვრებაში. ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებისათვის აუცილებელია მოზარდი ახალგაზრდობის ჩართულობა ფიზიკურ და სპორტულ აქტივობებში, ამისათვის საჭიროა ახალი, რეაბილიტირებული და კეთილმოწყობილი სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნა, მისი ადაპტირება როგორც ქალთა, ასევე მამაკაცთა საჭიროებებზე.

კულტურის სფეროს განვითარების პროგრამაზე ჯამში გამოყოფილია 1405,4 ათასი ლარი, რომლის ფარგლებშიც ფინანსდება შემდეგი 5 ქვეპროგრამა:

კულტურის სფეროს განვითარება	**ათას ლარში**
წყალტუბოს ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი	790,4
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი	1350,7
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი	177,0
კულტურული ღონისძიებები	213,0
რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	100,0
სულ	**2318,1**

<u>წყალტუბოს ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი</u> - ქვეპროგრამის მიზანია ახალგაზრდების ინტელექტუალური, შემოქმედებითი, სულიერი, პიროვნული, პროფესიული და ფიზიკური პოტენციალის გამოვლენის, ფორმირებისა და განვითარებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა. ხელოვნებასთან ზიაარებით პიროვნების ინდივიდუალური შემოქმედებითი მიდრეკილებების განვითარების ხელშეწყობა. კულტურული განვითარება. დაწყებითი სამუსიკო, სამხატვრო და არაფორმარული განათლების მიღება. ახალგაზრდებისთვის შემეცნებითი, შემოქმედებითი ღონისძიებების განხორციელება.მოსწავლეებისთვის ეროვნული და კულტურული მემკვიდრეობის ქართული და მსოფლიო ნიმუშების გაცნობა. მოზარდთა ინტერესების შესაბამისად პროფილური წრეების, ცენტრების, მოსწავლე-ახალგაზრდობის შემეცნებით-შემოქმედებითი პროგრამების

განხორციელება. სულ ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრში დასაქმებულია 76 თანამშრომელი (ქალი - 60, კაცი - 16).

<u>წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი</u> - ქვეპროგრამის მიზანია მოსახლეობაში ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია; შემოქმედებითი უნარების განვითარება; თეატრალური სფეროსადმი, ბიბლიოთეკებისა და მუზეუმებისადმი მოსახლეობის დაინტერესების ზრდა და ჩართულობა სამეცნიერო კონფერენციებსა, რასაც რასაც ემსახურება ცენტრში შემავალი 3 მუზეუმი, 28 ბიბლიოთეკა, 2კულტურის სახლი და 10 სასოფლო კლუბი. ღონისძიების ფარგლებში ხორციელდება ასევე სასოფლო ბიბლიოთეკების უფასო ინტერნეტით აღჭურვა, რომლითაც აქტიურად სარგებლობს სოფლის მოსახლეობა, ტარდება გასართობი და შემოქმედებითი ღონისძიებები. მუზეუმებში ტარდება გამოფენები, სამეცნიერო კონფერენციები, მუნიციპალიტეტის ვეტერანებთან და გამოჩენილ ადამიანებთან შეხვედრები. ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია; მუნიციპალიტეტის შემოქმედებით ცხოვრებაში ახალგაზრდები ჩართულობა.

<u>წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი -</u> ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების პოლიტიკის ჩამოყალიბება და განხორციელება, მდგრადი ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა, შიდა ტურიზმის სრული კოორდინაცია, კურორტის პოპულარიზაცია.

პროგრამის ღონისძიებები გათვლილია ადგილობრივ მოსახლეობასა და ვიზიტორებზე და ზოგადად ითვალისწინებს გენდერულ თანაფარდობას მისი სარგებლობისა და ხელმისაწვდომობის პარამეტრში. პროგრამის ამოცანებია შესაბამისი ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნა, სახვადასხვა ღონისძიებების, ფორუმების, კონფერენციების, გამოფენების გამართვის/მონაწილეობის გზით მუნიციპალიტეტის პოპულარიზაცია, მიმზიდველობის ზრდა, მიზნობრივი ბაზრებიდან ტურისტების მოზიდვა, ტურისტულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის ზრდა, ასევე მუნიციპალიტეტის მდგრადი ტურისტული განვითარებისთვის სტრატეგიის შემუშემუშავება. მიზნების მისაღწევად, პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები: მცირე ტურისტული ინფრასტრუქტურის ობიექტების შექმნა; სარეკლამო და საინფორმაციო ბეჭდური მასალების შექმნა და გავრცელება; ქალაქის რეკლამირება მიზნობრივ ბაზრებსა და ღონისძიებებზე; ინტერნეტსა და სოციალურ ქსელებში შესაბამისი მასალების განთავსება; ტურისტების საჭიროებების კვლევაზე დაყრდნობით სხვადასხვა პროექტების განხორციელება და სხვა. სულ ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრში დასაქმებულია 7 თანამშრომელი (ქალი - 7).

კულტურული ღონისძიებები - ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, როგორიცაა: სხვადასხვა ფესტივალებში მონაწილეობა; სხვადასხვა სფეროში მოღვაწე წარმატებულთა დაჯილდოვება; ტრანსპორტირება; მოწვევა; აუტიზმის ცნობადობის მსოფლიო საერთაშორისო დღე; 9 აპრილი; ფაშიზმზე გამარჯვების დრისადმი მიძღვნილი ღონისძიება; სასწავლო წლის დასრულების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება; ხელოვნების დღეები წყალტუბოში; ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება; 8 აგვისტოს მოვლენებისადმი მიძღვნილი ღონისძიება; სოხუმის დაცემის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება; ბრენდირებული საჩუქრების შესყიდვა; კლასიკური მუსიკის ფესტივალი; სიყვარულის დღე; ქართული სამოსის დღე; დამოუკიდებლობის დღე; ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე; სახალხო დღესასწაული „ოტიაობა“; სახალხო დღესასწაული შემოდგომის წყალტუბო; პოეზიის საღამო; სხვადასხვა სადღესასწაულო ღონისძიებებისათვის ბროშრების, წიგნების, დიპლომების, მოსალოცი და მოსაწვევი ბარათების ბეჭდვის მომსახურეობა; წყლის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება; საახალწლო ღონისძიება; საახალწლო საჩუქრები; კინო ფესტივალი და აგრო ტურისტული ფესტივალი.

რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა - ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსური მხარდაჭერა გაეწევა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ტაძრებისა და ეკლესიების რეაბილიტაციასა და ახალის მშენებლობას.

ახალგაზრდობის მხარდაჭერა - ახალგაზრდული მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებები ხელს შეუწყობს ახალგაზრდების გააქტიურებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობას, ახალგაზრდული ფესტივალის ორგანიზებითა და ინიციატივების მხარდაჭერის გზით. ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება შშმ პირების საზოგადოებაში ინტეგრირება.

ქვეყნის დემოკრატიული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარებითვის ახალგაზრდობა მნიშვნელოვან ფასეულობას წარმოადგენს. რაც ქმნის იმის საჭიროებას, რომ ადგილობრივ დონეზე, განხორციელდეს მათი მხარდაჭერა და განვითარების ხელშეწყობა.

თანამედროვე სამყაროში ახალგაზრდები უამრავი გამოწვევის წინაშე დგანან, სწრაფად ცვალებადი გარემო და ტექნოლოგიების განვითარება, განსაკუთრებით მაღალ მოთხოვნებს უყენებენ ახალგაზრდებს. ამიტომ, სახელმწიფოს მხრიდან გარდა ფორმალურისა, საჭიროა არსებობდეს ხელმისაწვდომი არაფორმალური საგანმანათლებლო პროგრამები იმისთვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს ახალგაზრდების სრულყოფილი განვითარების შესაძლებლობები.

საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 17 ივლისის №7054 დადგენილების „2020–2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფცია“,

თანახმადაც, ადგილობრივმა ხელისუფლებამ თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ხელი უნდა შეუწყოს კონცეფციით განსაზღვრული სტრატეგიული პრიორიტეტების განხორციელებას, აგრეთვე მუნიციპალიტეტების დონეზე ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელებას.

პროგრამის მიზანია ახალგაზრდობის მხარდაჭერა, რომელიც გულისხმობს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ბავშვებისა და ახალგაზრდების თვითრეალიზაციის შესაძლებლობას. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა პროექტები:

- რა? სად? როდის?
- შშმ პირებისთვის საჩუქარი;
- ახალგაზრდული ინიციატივების დაფინანსება;

ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ახალგაზრდების მიერ წარმოდგენილი სხვადასხვა პროექტის ფინანსური მხარდაჭერა, თავისუფალი დროის ეფექტურად და შინაარსიანად ხარჯვის ორგანიზება, მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის ინტელექტუალური, ფიზიკური და სულიერი პოტენციალის გამოვლენა, ინოვაციური იდეების მქონე საინიციატივო ჯგუფების ხელშეწყობა.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის ითვალისწინებს 3168,1 ათასი ლარის გამოყოფას, რაც მთლიანი ბიუჯეტის ასიგნებების 10,8%-ს შეადგენს. პრიორიტეტის საერთო დაფინანსების 94% მოდის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამებზე (2977,1 ათასი ლარი), ხოლო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებზე - 6% (191,0 ათასი ლარი).

<u>საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა</u> - ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მოსახლეობისთვის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სერვისების მიწოდება და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს უზრუნველყოფა, გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხევდველობა და კონტროლი, პირველადი ეპიდკვლევის განხორციელება, საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან ობიექტებში სანიტარულ - ჰიგიენურ მდგომარეობაზე ზედამხედველობა.

ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების დაგეგმვა, ანტირაბიულ კაბინეტზე მეთვალყურეობა და სისტემური მონიტორინგი, პარაზიტული და ჰელმინთური დაავადებების სკრინინგული კვლევა; ცხოვრების ჯანსაღი წესის გატარება; სამედიცინო სტატისტიკის მონიტორინგი; იმუნური პროფილაქტიკის დაგეგმვა და მასზე ანგარიშგება დადგენილი წესის მიხედვით; ცივი ჯაჭვის ფუნქციონირების უზრუნველყოფა; ყოველთვიური მონიტორინგი პირველადი ჯანდაცვის რეგიონებში;

COVID -19-ის ტესტირება დაავადებულების მოკვლევა დადგენილი წესის მიხედვით; C ჰეპატიტის სკრინინგი და დადებიტ შემთხვევაში მკურნალობა.

სულ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში დასაქმებულია 15 თანამშრომელი (ქალი - 14, კაცი - 1).

პროგრამული კოდი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	2024 წლის ბიუჯეტის პროგნოზი		
		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
06 02	სოციალური პროგრამები	2,977.1	78.0	2,899.1
06 02 01	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი	463.1	0.0	463.1
06 02 02	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ დღეგრძელ პირთა დახმარება	3.0	0.0	3.0
06 02 03	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახების მატერიალური წახალისება დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის	130.0	0.0	130.0
06 02 04	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეთა სარიტუალო ხარჯი	20.0	20.0	0.0
06 02 05	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეების ერთჯერადი ფულადი დახმარება	805.0	0.0	805.0
06 02 06	ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი	241.0	0.0	241.0
06 02 07	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო დახმარების თანადაფინანსება	700.0	0.0	700.0
06 02 08	სტიქიის, ხანძრის შედეგად დაზარალებულ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეების დახმარება	150.0	0.0	150.0
06 02 09	გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა	7.0	0.0	7.0
06 02 10	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის ინდივიდუალური სახლების მშენებლობის ან/და შეძენა	400.0	0.0	400.0
06 02 11	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახების დახმარება	58.0	58.0	0.0

<u>წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი -</u> ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლის დაფინანსება, კერძოდ სოციალურად დაუცველი და შეჭირვებული მოსახლეობის საინფორმაციო ბაზის შექმნა და მათი უზრუნველყოფა კვებით. მიმდინარე პერიოდისთვის პროგრამით სარგებლობს 200 ბენეფიციარი (მათ შორის 133 ქალი და 67 კაცი). იგეგმება 20 ბენეფიციარის დამატება. სულ სათნოების სახლში

დასაქმებულია 10 თანამშრომელი (ქალი - 7, კაცი - 3). ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება შინ მიტანის სერვისი, რომელიც დაინერგა 2020 წლიდან.

<u>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ დღეგრძელ პირთა დახმარება</u> - ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ დღეგრძელ პირთა (100 და მეტი წლის ასაკის) მატერიალური დახმარება, თითოეულზე 1000 ლარის ოდენობით. თანხა გაიცემა ყველა იმ ბენეფიციარზე, რომელსაც საბიუჯეტო წლის განმავლობაში შეუსრულდა ან მისი ასაკი აღემატება 100 წელს.

<u>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახების მატერიალური წახალისება დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის</u> -

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალიწინებულია დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის (წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მშობლები) ერთჯერადი ფულადი დახმარება: ა) მესამე შვილის შეძენისას – 500 ლარი, ბ) მეოთხე შვილის შეძენისას – 700 ლარი, გ) მეხუთე და მეტი შვილის შეძენისას – 1000 ლარი, დ) ერთი და მეტი ტყუპის შეძენისას - 500 ლარი; ე) სოციალურად დაუცველ ოჯახზე (სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ერთიან ბაზაში 0-დან 65000-ი ქულის ჩათვლით რეგისტრირებულ), რომელთაც ყავთ 18 წლამდე ასაკის 3 და მეტი შვილი გაიცეს ერთჯერადად 300 ლარი.
ამ სოციალური პროგრამის ა, ბ, გ, დ, ქვეპუნქტები ვრცელდება იმ ოჯახებზეც, რომელთა შვილები დაიბადა 2023 წლის დეკემბერში და არა აქვთ მიღებული ერთჯერადი დახმარება.

<u>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეთა სარიტუალო ხარჯი</u> - ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ იძულებით გადაადგილებულ პირთა, სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა ოჯახების დაკრძალვის ხარჯების ნაწილობრივ ასანაზღაურებლად გათვალისწინებულია 250 ლარი, ხოლო უჭირისუფლო გარდაცვლილის დაკრძალვის ხარჯის ნაწილობრივი ანაზღაურების მიზნით 400 ლარის ოდენობით.

ასევე გათვალისწინებულია დახმარება ახალი კორონავირუსის ინფექციით გარდაცვლილ პირთა, სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის, რომელთა სარეიტინგო ქულა მონაცემთა ერთიან ბაზაში განსაზღვრულია 0–დან 65 000–ის ჩათვლით, თითოეულზე 400 ლარის ოდენობით.

<u>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეების ერთჯერადი ფულადი დახმარება</u> - აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების ერთჯერადი დახმარება განისაზღვრება შემდეგ კატეგორიებზე:

ა) დიდი სამამულო ომის მონაწილის დახმარება –1 000 ლარი;

ბ) ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის სალიკვიდაციო სამუშაოებში მონაწილე პირის დახმარება – 350 ლარი;

გ) დედ–მამით ობოლი ბავშვის დახმარება – კვარტალში ერთხელ 400 ლარი;

დ) ცერებრალური დამბლით დაავადებულ პირის დახმარება – 500 ლარი;

ე) ა(ა)იპ ,,სათნოების სახლის“ ბენეფიციარის დახმარება სააღგდომოდ 100 ლარი და საახალწლოდ 100 ლარი.

ვ) მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის დახმარება, რომელსაც სტატუსი მიენიჭა თვალის დაავადების დიაგნოზით – 400 ლარი;

ზ) თირკმლის ჩანაცვლებით თერაპიაზე: ჰემოდიალიზზე და პერიტონეულ დიალიზზე დამოკიდებულ მოქალაქის დახმარება –2000 ლარი;

თ) შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვის დახმარება, გარდა ცერემბრალური დამბლით დაავადებული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვისა - 300 ლარი;

ი) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის მონაწილის, სახელმწიფო გასაცემლის (კონპესაცია, საპენსიო პაკეტი, საყოფაცხოვრებო სუბსიდია) მიმღების დახმარება 350 - ლარი;

კ) სხვა სახელმწიფო ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლი ომის მონაწილის დახმარება თითოეულს - 350 ლარი.

ლ) 2008 წლის 8 აგვისტოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის საომარი მოქმედებების დროს დაღუპული მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული პირის ოჯახის (ოჯახის წევრის რეგისტრაციის ადგილის მიუხედავად) ფულადი დახმარება - 1800 ლარი;

მ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო ოჯახის, პირის (საცხოვრებელი სახლი დაინგრა, დაიწვა ან საცხოვრებლად უვარგისი, ავარიული ან სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში გახდა სტიქიური უბედურების,უბედური შემთხვევის ან სხვა გარემობების გამო დარჩა უსახლკაროდ და არ გააჩნია ალტერნატიული საცხოვრებელი ფართი) დროებითი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით ბინის ქირის ასანაზღაურებელი თანხის გაცემა თვეში არაუმეტეს 250 ლარისა

ნ) ოჯახში ძალადობის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირის (პირთა)

დროებითი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით ბინის ქირის ასანაზღაურებელი თანხის გაცემა თვეში არაუმეტეს 250 ლარისა

ო) ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირის დახმარება (გინეკოლოგის ან / და რეპროდუქტოლოგის დახმარება კონსულტაცია ან / და შესაბამისი სამედიცინო კვლევები) არაუმეტს 200 ლარი.

პ) 2024-2025 სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით ა(ა)იპ სარეაბილიტაციო ცენტრი ,,ჩვენი სახლის" ბენეფიციარი ბავშვის დახმარება 150 ლარის ოდენობით.

ჟ) სოციალურად დაუცველ ოჯახის, რომლიც სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ერთიან ბაზაში დარეგისტრირებულია 0-დან 65 000 -ი ქულის ჩათვლით, პირველ და მეორე ახალშობილზე ერთჯერადი დახმარება - 300 ლარი.

რ) სადღესასწაულოდ (აღდგომა) სოციალურად დაუცველ ოჯახზე (სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ერთიან ბაზაში 0-დან 65000-მდე ქულის ჩათვლით რეგისტრირებული), რომელთაც ყავთ 18 წლამდე ასაკის 3 და მეტი შვილი, დედ-მამით ობოლი ბავშვის, 100 წელს გადაცილებული პირის, მეორე მსოფლიო ომის მონაწილე ვეტერანის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების და სხვა მძიმე-სოციალურ ეკონომიურ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების კვების პროდუქტებით დახმარება, თითოეულ ოჯახს არაუმეტეს 80 ლარის ღირებულებისა.

ს) ონკოლოგიური დაავადების მქონე 18 წლამდე ბავშვის (ლეიკემია, ლიმფოგრანულომატოზი, ანემია, სხვადასხვა სახის სიმსივნეები) დახმარება - 1500 ლარი

ტ)) ფენილკეტონურიით დაავადებულ პირთა დახმარება - 1500 ლარი.

უ) მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირის დახმარება -300 ლარი.

ფ) ფსორიოზით დაავადებულ პირთა დახმარება -400 ლარი.

ქ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან კერძოდ კი მინდობით აღზრდიდან ან მცირე საოჯახო სახლებიდან სრულწლოვნობის მიღწევის გამო ამორიცხული ახალგაზრდების (18-21წელი) ბინის ქირით უზრუნველყოფა საცხოვრებლის არარსებობის შემთხვევაში - ყოველთვიურად არაუმეტეს 250 ლარისა

ღ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სტუდენტების სწავლის საფასურის თანადაფინანსება, რომლებიც სწავლობენ ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში და მათი სოციალური მდგომარეობა მძიმეა მშობლების გარდაცვალების, ან/და უგვზოუკვლოდ დაკარგვის, გამო. სტუდენტების თანადაფინანსება განისაზღვროს გადასახდელი თანხის 50% არაუმეტეს 2000 ლარისა.

ამავე ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდებიან წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტები, თანადაფინანსება განისაზღვრება გადასახდელი თანხის 50%-ით არაუმეტეს 2000 ლარისა.

ყ) სპეციალიზირებულ დაწესებულებიდან (მათ შორის მინდობით აღზრდიდან) ბიოლოგიურ ოჯახში, მეურვესთან / მზრუნველთან საცხოვრებლად დაბრუნებულ თითოეულ ბავშვს, ოჯახის გაძლიერების მიზნით, განესაზღვროთ დახმარება წელიწადში ორჯერ, ექვს თვეში ერთხელ 250 ლარი, წელიწადში 500 ლარი.

შ) პარკისონით დაავადებულ პირთა დახმარება -400 ლარი

ჩ) კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გაძლიერებისა და დახმარების ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდებიან წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვიანი ოჯახები, რომლებიც იმყოფებიან კრიზისულ ვითარებაში და/ან საჭიროებენ დახმარებას. აღნიშნული ქვეპროგრამიდან თითოეულ ოჯახზე გასაცემი თანხის ოდენობა არ აღემატება 2000 ლარს. გასაცემი თანხის ზუსტ ოდენობას განსაზღვრავს შემდგომში ,,სოციალური ღონისძიებების დაფინანსების განმსაზღვრელი კომისია".

ც) შშმ 18 წლამდე სმენადაქვეითებული ბავშვებისათვის სასმენი აპარატის შეძენა, თანხის ოდენობა განისაზრვრება არაუმეტეს 1500 ლარისა.

ძ) მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, რომელსაც სტატუსი მიენიჭა თვალის დაავადების დიაგნოზით, დამოუკიდებლად საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვის ხელშეწყობის მიზნით, სპეციალური ტექნიკის შესაძენად თანხის გამოყოფა არაუმეტეს 350 ლარისა.

წ) გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს რეგიონული საბჭოს გადაწყ ვეტილების მიღებამდე ხანდაზმულთა სპეცილიზირებულ დაწესებულებაში გადაყვანის ხარჯების ანაზღაურება არაუმეტეს 1500 ლარისა. მომსახურების დაფინანსების საკითხზე გადაწყვეტილებას იღებს კომისია სპეციალური შემადგენლობით.

ამ სოციალური პროგრამის ცალკეული ქვეპუნქტების ერთობლივად დადგომის შემთხვევაში თითოეული დახმარება გაიცემა ქვეპროგრამაში გათვალისწინებული შესაბამის მოცულობათა ერთობლიობით.

<u>ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი</u> - ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 0-დან 18 წლამდე შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციარების (უნარშეზღუდულ ბავშვთა) ზრდა - განვითარების ხელშეწყობას, მათი იზოლაციიდან გამოყვანასა და საზოგადოებასთან ინტეგრაციას. სულ ინკლუზიური ცენტრში დასაქმებულია 18 თანამშრომელი (ქალი - 12, კაცი - 6). ა(ა)იპ ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი-ში არსებული სერვისებით დღეის მდგომარეობით 15 ბენეფიციარი (მათ შორის: 5 გოგო და 10 ბიჭი) სარგებლობს.

<u>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო დახმარების თანადაფინანსება</u> - ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების გეგმიური და გადაუდებელი სტაციონალური ქირურგიული ოპერაციები, მათ შორის თვალის კოსმეტიკური სახის ან ცხვირის რინოპლასტიკის რეკონსტრუქციული ფორმის ოპერაციები, (სამედიცინო ჩვენებით), სხვა სამედიცინო მომსახურება-იოდოთერაპია, რადიოსიხშირული აბლაცია, ლითოტრიფსია, ქიმიო, ჰორმონო, სხივური თერაპია და სხვა. ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული და სხვა სახის კვლევები, რომელიც არ ანაზღაურდება სადაზღვევო პოლისით ან არ არის გათვალისწინებული საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით. სამედიცინო მომსახურების ღირებულება თანადაფინანსების წესით, ანაზღაურდება წელიწადში ერთხელ, რომელიც განისაზღვრება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით ან სხვა გზით გათვალისწინებული დაფინანსების გამოკლების შემდეგ დარჩენილი პაციენტის მიერ გადასახდელი თანხის 50%-ით არაუმეტეს -1000 ლარისა.

ონკოლოგიური დავადების მქონე პირების მკურნალობა-ოპერაციების,სამედიცინო კვლევების, ქიმიო, ჰორმონო და სხივურ თერაპიის და სხვა. პროცედურების თანადაფინანსებისათვის საგარანტიო წერილი გაიცემა წელიწადში ორჯერ ზემოთ აღნიშნული თანადაფინანსების წესით.

ქვეპროგრამით დაფინანსდებიან სხვადასხვა დაავადების მქონე 18 წლამდე ბავშვები, რომელთა აუცილებელი სამედიცინო მომსახურეობა ვერ ხერხდება საქართველოს სამკურნალო დაწესებულებებში და ნაწილობრივ დაფინანსებულია საქართველოს შრომის,ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამისი პროგრამებით. მუნიციპალიტეტის მხრიდან მატერიალური დახმარების სახით გაიცემა თანხა 5000 ლარის ოდენობით.

ქვეპროგრამით მოსარგებლეები არიან ასევე 2 წლიდან 15 წლის ასაკის ჩათვლით წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ბავშვები, რომლებსაც გააჩნიათ დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკატორის (ICD-10) განვითარების ზოგადი აშლილობების (F84.0 - F84.9) ჯგუფის დიაგნოზი ძირითად დიაგნოზად:

ა) F84.0 ბავშვთა აუტიზმი.

ბ) F84.1 ატიპიური აუტიზმი.

გ) F84.2 რეტის სინდრომი.

დ) F84.3 ბავშვთა სხვა დეზინტეგრაციული აშლილობა.

ე) F84.4 ჰიპერაქტიური აშლილობა თანმხლები გონებრივი ჩამორჩენილობით და სტერეოტიპული მოძრაობებით.

ვ) F84.5 ასპერგერის სინდრომი.

ზ) F84.8 განვითარების სხვა ზოგადი აშლილობანი.

თ) F84.9 განვითარების ზოგადი აშლილობა დაუზუსტებელი.

ასევე დაფინანსდებიან 2-15 წლამდე ასაკის ბავშვები სხვა გონებრივი ჩამორჩენილობით (F-78.0-78.9) რომელთაც ძირითად დიაგნოზად განესაზღვრათ:

ა) F78.0 სხვა გონებრივი ჩამორჩენილობა.ქცევის აშლილობა არ არსებობს ან მინიმალურია.

ბ) F78.1 სხვა გონებრივი ჩამორჩენილობა.არსებობს ქცევის მნიშვნელოვანი აშლილობა, რომელიც მოითხოვს ყურადღებას და მკურნალობას.

გ) F78.8 სხვა გონებრივი ჩამორჩენილობა. სხვა ქცევითი აშლილობანი.

დ)F78.9 სხვა გონებრივი ჩამორჩენილობა. განუსაზღვრელი ქცევითი აშლილობა.

პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება ფინანსდება ყოველთვიურად ფაქტობრივი ხარჯის მიხედვით, მაგრამ არაუმეტეს თვეში 420 ლარისა.

ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე მედიკამენტების შესაძენად დაფინანსდებიან განსაკუთრებით მძიმე და საშიში დაავადების მქონე პირები. თანხის ოდენობას განსაზღვრავს შემდგომში ამ კუთხით შექმნილი ,,სოციალური ღონისძიებების დაფინანსების განმსაზღვრელი კომისია“.

ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე მოხდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვების სტაციონლური მკურნალობის თანადაფინანსება, რომელიც განისაზღვრება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით ან სხვა გზით გათვალისწინებული დაფინანსების გამოკლების შემდეგ დარჩენილი პაციენტის მიერ გადასახდელი თანხის 50%-ით არაუმეტეს -200 ლარისა.

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ბავშვთა ადრეული განვითარების სპეციალისტების ტრანპორტირების ხარჯები, რომელიც ბავშვისთვის ბუნებრივ გარემოში (სახლი, ბაღი,და აშ) განახორციელებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 0-დან 7 წლამდე ბავშვთა ადრეული განვითარების მხარდაჭერის პროგრამის მიწოდებას, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ბავშვებისათვის. ტრანსპორტირების ხარჯების ანაზღაურება მოხდება თვეში ერთხელ არაუმეტეს 450 (ოთხასორმოცდაათი) ლარისა, შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ პროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაციის ანგარიშზე.

<u>სტიქიის, ხანძრის შედეგად დაზარალებულ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეების დახმარება</u> - აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია 2024 წელს მომხდარი ხანძრის, სტიქიის - მიწისძვრის, მეწყრის, ჩამოცვენის, ჩამოშლის, ქვათა ცვენის, კარსტული ჩამოქცევის, ღვარცოფის,

წყალდიდობის, წვიმის (თოვლის) წყალმოვარდნის, ქარიშხლის, ძლიერი ქარის, გრიგალის, ძლიერი ქარბუქის, დიდთოვლობის, ძლიერი გაყინვის, მსხვილი სეტყვის, ძლიერი წვიმების, ხანგრძლივი წვიმების, კოკისპირული წვიმების, გვალვის, ზვავის, ხანძრის და სხვა ბუნებრივი ან/და ტექნოგენური ან/და საგანგებო ხასიათის მოვლენების შედეგად დაზარალებული, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების კუთვნილ საცხოვრებელ სახლზე (ბინაზე) მიყენებული ზარალის ნაწილობრივი ანაზღაურებისათვის დახმარება განისაზღვრება წელიწადში ერთჯერადად არაუმეტეს - 5000 ლარი.
დახმარება ვრცელდება 2023 წლის 1 დეკემბრიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით სტიქიის, ხანძრის შედეგად დაზარალებულებზეც, რომელთაც მიღებული არ აქვთ - ,,სტიქიის, ხანძრის შედეგად დაზარალებული მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეთა დახმარება“ 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ერთჯერადი დახმარება.

<u>გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა</u> - გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის პროგრამით მოხდება მუნიციპალიტეტში მცხოვრები ყველა გენდერულად სენსიტიური ჯგუფის - ძალადობის მსხვერპლი და/ან რისკ-ჯგუფის ქალების, მარტოხელა და/ან ქვრივი მშობლების (როგორც ქალის ისე კაცის), განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ახალგაზრდების, სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების, შშმ პირების, მარტოხელა და ზრუნვის პოლიტიკის საჭიროების მქონე ხანდაზმულების, იგპ პირების საჭიროებების შესწავლა და ამ საჭიროებებზე მორგებული საბიუჯეტო წინადადებების შემუშავება და დანერგვა.

პროგრამა ითვალისწინებს გენდერული ცნობიერების ჩამოყალიბებას ინფორმირებას გენდერულ კანონმდებლობაზე, გენდერული ძალადობის წინააღმდეგ არსებულ მექანიზმებზე, სოციალური პარტნიორობის სისტემაზე. იმის გათვალისწინებით, რომ ხელმძღვანელი სტრუქტურების მხრიდან მკაცრდება მოთხოვნები თანასწორობის პოლიტიკაში არსებული გამოწვევების საპასუხოდ, მნიშვნელოვანია, მოხდეს ცალკეულ სფეროებში გენდერული საჭიროებების შესწავლა და შესაბამისი საკითხების გათვალისწინება საბიუჯეტო პროცესის ყველა ეტაპზე: დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების. სადღეისოდ უწყებათაშორისი კომისია მუშაობს ადგილობრივ თვითმმართველობასთან თანამშრომლობის პლატფორმაზე, რასაც საპასუხო ნაბიჯები უნდა მოყვეს ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მხრიდან. მოხდეს გენდერული უთანასწორობის შემცირების მიზნით შესაბამისი გასატარებელი ღონისძიებების მხარდაჭერა ადგილობრივი რესურსებით.

<u>წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის ინდივიდუალური სახლების მშენებლობის ან/და შეძენის</u>

ქვეპროგრამა - ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი (სარეიტინგო ქულა 0-დან 12000-ის ჩათვლით) ოჯახების მცირე ფართიანი ინდივიდუალური სახლების მშენებლობა ან/და შეძენა, რომელთა საცხოვრებლი სახლები დაზიანების ხარისხის მიხედვით საცხოვრებლად უვარგისია, ექვემდებარება დემონტაჟს და არ გააჩნიათ სხვა ალტერნატიული საცხოვრებლი ფართი.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახების დახმარება - განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახების გაძლიერებისა და დახმარების ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდებიან წყალტუბოს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ბავშვიანი ოჯახები, რომლებიც იმყოფებიან მძიმე სოციალურ-ეკონომიურ მდგომარეობაში და/ან საჭიროებენ დახმარებას. აღნიშნული ქვეპროგრამიდან თითოეულ ოჯახზე გასაცემი თანხის ოდენობა არ აღემატება 2000 ლარს. გასაცემი თანხის ზუსტ ოდენობას განსაზღვრავს შემდგომში ამ კუთხით შექმნილი „სოციალური ღონისძიებების დაფინანსების განმსაზღვრელი კომისია“.

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებულია 6788,1 ათასი ლარი, რაც ბიუჯეტის მთლიანი ასიგნებების 23,3%-ს შეადგენს. 2024 წელს გამოყოფილი ასიგნებებიდან ფინანსდება შემდეგი ხარჯები:

ათასი ლარი

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	**6788,1**
საკრებულო	1777,9
მერია	4871,6
სამხედრო აღრიცხვის სამსახური	0,0
კადრების მომზადება-გადამზადება	38,6
სარეზერვო ფონდი	100,0

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯების პრიორიტეტის ასიგნებების წილობრივი მაჩვენებლები მოცემულია გრაფიკ #11-ზე.

გრაფიკი #11


კადრების
მომზადება-
გადამზადება
0,7%
სამხედრო
აღრიცხვის
სამსახური
0
სარეზერვო
ფონდი
1,5%
საკრებულო
26%
მერია
71,8%